გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 201

2023 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის 2023 წლის 25 სექტემბრის N154 წერილის საფუძველზე დადგა საკითხი, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქუჩა N20ა-ში მდებარე ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ორ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი ფუნქციონირებს 2001 წლიდან, რომელიც მუშაობს შშმ პირებთან, მათ შორის ბავშვებთან და ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროექტებს დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით. ორგანიზაციას ასევე გააჩნია სხვადასხვა პროფესიული სასწავლო სახელოსნოები მოზარდებისთვის, მოქმედებს სოციალური საწარმო, რომელშიც დასაქმებული არიან ორგანიზაციის ბენეფიციარები. დღეის მდგომარეობით ორგანიზაციაში ყოველდღიურად სწავლობს და რეაბილიტაციას გადის 65 შშმ ბავშვი. დღის ცენტრების ფუნქციონირებისთვის და აღნიშნული სოციალური პროექტების გასაგრძელებლად, გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქ. N20ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი N 66.45.15.224

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრს (ს/ნ 218016420) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, თარხნიშვილის ქ. N20ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი N 66.45.15.224;

2.განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე